საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

№1/106

13.03.2020 წ.

მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 და 24-ე მუხლების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს კერძო დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის დაცვის განმახორციელებელი ფიზიკური პირისთვის განსაზღვრული „მცველის მოწმობა“ თანდართული სახით.

2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (შემდგომში - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) მცველის მოწმობის დამზადება და გაცემა არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით, კერძო დაცვითი ორგანიზაციის მიერ მცველის მოწმობის დამზადების მოთხოვნით მიმართვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. კერძო დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) მცველის მოწმობის დასამზადებლად წერილობითი ან ელექტრონული ფორმით განცხადებით მიმართოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს და მიაწოდოს:

ა.ა) მცველის სახელი და გვარი;

ა.ბ) პირადი ნომერი;

ა.გ) დაბადების თარიღი;

ა.დ) მამის სახელი;

ა.ე) მცველის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ელექტრონული ფორმით (წერილობითი ფორმით მომართვის შემთხვევაში დისკზე);

ა.ვ) ფოტოსურათი ელექტრონული ფორმით, რომელიც უნდა იყოს მაღალი ხარისხის და გარჩევადი (წერილობითი ფორმით მომართვის შემთხვევაში დისკზე);

ა.ზ) მცველის მოწმობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (წერილობითი ფორმით მომართვის შემთხვევაში დისკზე);

ბ) მოქმედი მოწმობის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე ახლის დამზადების მოთხოვნით მიმართოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს და მოწმობის დამზადების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მისი გატანა;

გ) ჩააბაროს ვადაგასული ან ვადაზე ადრე ჩამორთმეული მცველის მოწმობა;

დ) მცველის მოწმობის დაკარგვის თაობაზე აცნობოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

4. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული მცველის მოწმობა ძალაშია მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის №1/319 ბრძანება.

6. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.

7. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

მოწმობის წინა მხარე

მოწმობა დაბეჭდილია პლასტიკურ ბარათზე (ფონი - ლურჯი და თეთრი ფერის სხვადასხვა გრადაცია).

მარცხენა ზედა კუთხეში განთავსებულია საქართველოს რუკისა და სახელმწიფო დროშის კომბინაცია, ზედა მარჯვენა ნაწილში კი წარწერა „მცველის მოწმობა“.

მოწმობის მარცხენა კიდესთან თავსდება ფოტოსურათი ზომით 3X4, რომლის ქვეშაც გამოსახულია ხუთნიშნა უნიკალური კოდი.

მოწმობის ცენტრალური ნაწილი მოიცავს ძირითად ინფორმაციას: მცველის სახელი და გვარი, კერძო დაცვითი ორგანიზაციის დასახელება, მცველის სტატუსი, მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, მოწმობის მოქმედების ვადა და გამცემი ორგანოს სრული დასახელება. ცენტრალურ ნაწილს ფონად ადევს გრაფიკული ბადე და კერძო დაცვითი ორგანიზაციის ლოგოტიპის ვიზუალი.

მოწმობის უკანა მხარე

მოწმობის უკანა მხარე თეთრია და მასზე არავითარი ინფორმაცია არ არის განთავსებული.